# იმერეთი

№ 113 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 113

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ხუთშაბათი 24 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „იმერეთი" თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი" —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისჩ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ" Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ქ უ თ ა ი ს ი
პირველი კერძო სამკურნალო
სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი ვ. პ. მოსეშვილი შინაგანი და ნევრების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½ 2მ |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოღოშვილი

კონსტანტინე ივ. მის ოცხელისა და ამხ.

წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა

იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული

პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის საამხანაგო შკოლის მასწავლებელთა მიერ.

კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

ქუთაისში:

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

# განცხადება.

ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ

1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდე. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ექიმი ა. მ. ასათიანი ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმმა გ. ალშიბაიამ საზღვარგარეთ გამგზავრების გამო შესწყვიტა ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდე.

ექიმი მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვ. პ. მოსეშვილი ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ექიმი კ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, დ სიფილისისა) იკვლევს გასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

ექიმმა ი. ჩარექოვმა შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

ექიმის იკ. ბოკერიას

საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოზ კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: პირველი შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება თფილისში: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ"-ში. გამომცემელი კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა


## ავსტრო-უნგრეთისა და სერბიის უთანხმოება.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

მას აქეთ, რაც სერბია დამოუკიდებელ სახელმწიფოთ შეიქნა, ავსტრო-უნგრეთის მტრობა მისდამი ცოტა ხნითაც არ გამქრალა. იყო ისეთი მომენტებიც, როცა გარეგნულად ამ ორი მეზობელი სახელმწიფოს დამოკიდებულობა ვითომ მეგობრულ ხასიათს იღებდა, მაგრამ ყველა ამას დიპლომატიური ხასიათი ქონდა და შინაური ეროვნული სიძულვილი არ ისპობოდა. ჰაბსბურგების მონარქია მუდამ იმასა სცდილობდა, რომ პატარა და სუსტი მეზობელი დაეჩაგრა და თავისი სამხედრო ძლიერებით ფეხქვეშ გაეთელა მისი დამოუკიდებელი არსებობა. ფრანც-ფერდინანდისა და მისი მეუღლის მოკვლამ სარაევოში ახალი საბუთი მისცა ხელში ავსტრიის მთავრობას თავისი დამჩაგვრელი პოლიტიკის გასაძლიერებლად. და, აი დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ავსტრიის ელჩმა ბელგრადში წარუდგინა სერბიის მთავრობას ოფიციალური ნოტა, რომლითაც ავსტრია მოითხოვს 4 საათში დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნილებანი: სერბიამ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ავსტრიის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდისა, სამუდამოთ უარი განაცხადოს ბოსნია-ჰერცოგოვინის ტერიტორიაზე, რომელიც ამ ჟამად ავსტრიას ეკუთნის და რომელიც უმეტესად დასახლებულია სერბებით; ოფიციალურად ბოდიში მოიხადოს ავსტრიის წინაშე, რომ ზოგიერთმა მოხელემ და სერბიის ჯარის აფიცრებმა მონაწილეობა მიიღეს ერცჰერცოგის მკვლელობის მოწყობაში, დაითხოვოს იგინი სამსახურიდან და სასტიკად დასაჯოს; საქმის გამოძიების დროს უნდა დაესწრონ ავსტრიის წარმომადგენელნი, რომელნიც თვითონ დაუსახელებენ მკვლელობაში დამნაშავე პირთ, დაევალოს განათლების სამინისტროს მოსპოს სერბიის სკოლებში გამეფებული პროპაგანდა, რომელიც სიძულვილს ულვიძებს ახალთაობას ავსტრიისადმი, დაუყონებლივ მოისპოს ნაროდნა ობრანა და სხვა საზოგადოებები, რომელნიც ავსტრიის წინააღმდეგ მოქმედობენ და სხვ. აი, ასეთი არის მოკლეთ ავსტრიის მოთხოვნილებანი.

ამ ნოტას თან დართული აქვს „მემუარი", რომელშიაც ავსტრიის მთავრობა ამტკიცებს, რომ შეთქმულება ჰერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის წინააღმდეგ მომზადებული იყო სერბიის სხვადასხვა ოფიციალური პირის დახმარებით.

ავსტრიაში ფრიად ძლიერია სამხედრო პარტია, რომლის სულის ჩამდგმელიც იყო განსვენებული ჰერცჰერცოგი; იგი წარსულში წამ და უწუმ ომს თხოულობდა სერბიასთან, მაგრამ მთავრობაზე მისი ალტაცებითი კანიბალური კიჟინა ვეყ ახდენდა განზრახულ გავლენას. დღეს თვით ეს მთავრობა სდგამს ისეთ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მთელი ევროპის დიდი სახიფათო მდგომარეობა. განა ამაზე მეტი დაცინვა შეიძლება ეროვნებისა, როდესაც დღეს გრაფ ტიცა, უნგრეთის პირველი მინისტრი, აცხადებს, რომ ჩვენ არაფერს ვსთხოვთ სერბიას ისეთს, რაც ნაციონალურ ღირსებას შებღალავსო?! ზემოდ მოყვანილი ნოტის შინაარსი რა არის თუ არა ულტიმატუმი და დამოუკიდებელ სახელმწიფოს უფლებათა ფეხქვეშ გათელა? ავსტრია უნიშნავს დროს პასუხისათვის 25 ივლისს ა. სტ. საღამოს 6 საათამდი. რა მოყვება მას თუ სერბიამ არ დააკმაყოფილა ავსტრიის მოთხოვნილებანი?!. ავსტრიის მთავრობა თავის ნოტას აფუძნებს მისი აგენტების გამოძიებაზე და სრულიად არ უჯერებს სერბიის მთავრობას; იგი თხოულობს ნაციონალურ სხვადასხვა საზოგადოების მოსპობას, პრესის თავისუფლების შეზღუდვას, ვინაიდან შემდეგში მან ხმა აღარ უნდა ამოიღოს ავსტრიის წინააღმდეგ—და ამასთანავე კი არ კითხულობს, თუ ვგელა ეს ეთანხმება სერბიის კონსტიტუციის პრინციპებს. რა ქვეყანა უნდა იყოს ის ქვეყანა, რომელიც დააკმაყოფილებს ასეთს უსამართლო, აღმაშფოთებელსა და შეურაცხმყოფელ მოთხოვნილებებს? და თუ ეს ნოტა უკანასკნელი სიტყვაა ავსტრიისა, მაშასადამე, მას სურს ომი და სერბიის დარბევა.

ავსტრიის მუქარა გამოწვეულია ორი მოვლენით: თვით ჰერცჰერცოგის მკვლელობით და პანსლავიანური პროპაგანდით ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ავსტრიის მთავრობის ცნობებით, მემკვიდრის მკვლელობა მომზადებული იყო ბელგრადში, რომ ამ საქმეში ერია ერთი აფიცერი, რომ დოგანის მოხელეებმა გაუადვილეს მკვლელებს ყუმბარებისა და იარაღის გადატანა საზღვარზე. აქიდან ჩვენ შეგვიძლია ლოღიკური დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ თუ მართლა ეს ასე მოხდა, ავსტრიას შეუძლია მოსთხოვოს სერბიის მთავრობას თავისი საკუთარი ძალებით გამოიძიოს და დასაჯოს ყველა ისინი, ვინც ხელი შეუწყო მკვლელობას. ამგვარად სერბიის სუვერენიტეტის ღირსება სრულიად არ იქნებოდა შელახული, მაგრამ ვენის მთავრობას, როგორც ეტყობა, არაფერი ნდობა არა აქვს სერბიის მართლმსაჯულებისა, რადგან თხოულობს თავისი პოლიციის კონტროლს. ავსტრიის მთავრობა ამ ფარგლებში რომ დარჩენილიყო, მაშინ საქმეს წმინდა იურიდიული ხასიათი ექნებოდა, მაგრამ გაშმაგებული ბოროტებით სავსე ავსტრიის მთავრობა არ სჯერდება ამას და მისი მოთხოვნილებანი უკვე პოლიტიკურ ხასიათს იღებენ. ამგვარად, ჰერცჰერცოგის მკვლელობა უბრალო მიზეზია, რომლითაც ავსტრია ეძებს ძველი ჯავრი ამოიყაროს სერბიისა და მონად გახადოს იგი თავისი ტლანქი და ბარბაროსული სიძლიერისა. დიახაც ხელსაყრელია დუნაელ „შვაბებისათვის" სერბიის ალაგმა! ეროვნებათა

მოძრაობა, მათი უკმაყოფილება და უკეთესი მდგომარეობისაკენ მისწრაფება — ეს ისეთ გაუკურნავი სენია, რომელმაც უნდა ბოლო მოუღოს ავსტრიისა და უნგრეთის შეერთებულ იმპერიას. განა რა არის უკანონო და ბუნების წინააღმდეგი, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინა მუდმივ თავის დიდ სამშობლო სერბიისაკენ მიისწრაფება და სწყურიათ თავი იხსნან მათთვის საზიზღარ ავსტრიის მთავრობიდან, ან კიდევ ვის რა უფლება აქვს აუკრძალოს სერბიას უყვარდეს თავისიანები, რომელნიც უკუღმართმა ბედისწერამ უცხო სახელმწიფოს ნადავლად გახადა?!

შეუძლებელია, რომ ავსტრიის „ნოტამ“ საერთაშორისო ყურადღება არ მიიქციოს. მოსალოდნელია, რომ რუსეთის მთავრობა, როგორც სლავიანების მფარველი, არ დასთმობს დამოუკიდებელ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევას და ეს საქმე უნდა ვენას და პეტერბურგს შორის გადაწყდეს და აქ კი დიდი ცდა სჭირია, რომ ინცინდენტმა მშვიდობიანათ ჩაიაროს *).

ა—ო.

*) როგორც მკითხველებმა უკვე იციან, რუსეთმა არ აპატია ავსტრიას მისი საქციელი და სერბიის შეურაცხოფისათვის თავიც გამოიდვა. ამას მოჰყვა არა მარტო სერბიისა და ავსტრიის ომი, არამედ რუსეთ-გერმანიის ომიც.

ეს წერილი გუშინ მივიღეთ საზღვარგარეთიდან და ვბეჭდავთ იმიტომ, რომ ჩვენმა პროვინციელმა მკითხველებმა ერთხელ კიდევ წარმოიდგინონ ავსტრია-სერბიის ურთიერთობა.

რედ.

# რუსეთ-გერმანიისა და ავსტრია-სერბიის ომი.

**ქაირო.** (20 ივლისი). საერთაშორისო მდგომარეობისა გამო ალექსანდრიის ბირჟები ქაირში დაიხურა. გონიათ, რომ საერთო ომების გამო ეგვიპტეში აღარ შემოიტანენ იმ სურსათს, რომელიც განსაკუთრებით შემოქონდათ. და ეგვიპტეში სიმშილობა ჩამოვარდებაო. პურის ფასები ძალზე მატულობს.

**ლონდონი.** მუშათა პარტიამ ტრაფალგერის ბაღში მოაწყო ომის საწინააღმდეგო მიტინგი. მიტინგი გაფანტულ იქნა პრპოლისაგან, რომელიც ილტაცებით ვაშას გაიძახოდა.

**კოპენჰაგენი.** ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ელჩს სვერბეევს პასპორტი ჩააბარესო.

**პარიზი.** ინგლისიდან დაბრუნებული ხელმწიფე იმპერატორიცა გემ ოვარტით საღამოზე მოვიდა კალეში. მას შეხვდენ დიდი ბრიტანეთის ელჩი და სხვანი. საღამოს შვიდ საათზე საიმპერატორო მატარებლით გაემგზავრა. (?)

**პარიზი.** საღამოს ოთხ საათზე ქუჩებში გამოაკრეს ბრძანება მობილიზაციის შესახებ. ხალხი ამ ამბავს გულმშვიდათ შეხვდა, ყველა კარგადა გრძნობს სადღეისო მოთხოვნილებას და მზათაც არის აღასრულოს თავისი მოვალეობა. რკინის გზის სადგური სავსეა სათადარიგო ჯარის კაცებით, რომლებიც მიდიან დანიშნულ ადგილებში. ყველგან დიდი წესიერებაა დაცული.

**მოსკოვი.** პირველ სატახტო ქალაქის მცხოვრებთა მამულიშვილურ გრძნობათა გამოცხადების გამო გრადონაჩალნიკთ ლირს იქმნა მიეღო შემდეგი უმაღლესი დეპეში: „განსაკუთრებულის სიამოვნებით წავიკითხე თქვენი განცხადება, სამშობლო მოსკოვის მიერ გამოცხადებული უქვეშევრდომილესი გრძნობანი მით უფრო ძვირფასია ჩემთვის ამ უკუღმართ დროს. ღმერთი მრწამს, რომ ახლაც ისე, როგორც ძველად, პირველი სატახტო ქალაქი მთელ რუსეთთან ერთად პირველი აღდგება დასაცავად ტახტისა და სამშობლოისა, ჩვენთანა არს ღმერთი. ნიკოლოზი.

მოსკოვის მთავარმართებელი მოუწოდებს რა მცხოვრებლებს დაიცვან მათ სიმშვიდე, უცხადებს, რომ მშვიდობიან უცხოელებს არავითარი ძალმომრეობა არ მიაყენონ. ქალაქის თავი მოუწოდებს ყველას ჯარისა და ფლოტის სათადარიგოთა ოჯახების სასარგებლოდ გამოიღონ შეწირულება ფულითა თუ ნივთებით.

**ანტვერპენი.** (21 ივლისი), გავასის სააგენტოს ატყობინებენ ფლისინგენიდან, რომ ბუქსინს ნემეცთა ზღვაში შეუნიშნავს 17 დიდი სამხედრო ხომალდი, რომელნიც მიეჩქარებოდენ სკაგერაკუსაკენ გემებზე სანათი ჩამქრალი ყოფილა. ლოცმანები იტყობინებიან რომ ინგლისელთა ხუთი გემი ნორგინდერის კანდელთანა სდგას. და ინგლისელთა რამდენიმე ესკადრა ფლისინგენის ჩრდილოეთით დასცურავსო.

**კოპენჰაგენი.** პარიზიდან იტყობინებიან, რომ გერმანიისაგან რუსეთისადმი ომის გამოცხადება სამხედრო მდგომარეობის დამყარებას ნიშნავსო. მთელი ერი გამსჭვალულია ერთსულოვან მამულიშვილობით და გატაცებითაც გავა ბრძოლის ველზე. საღამოთი ხალხის დიდი მოძრაობა იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ სადგურებზე. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა პალატა მოიწვიონ 21 ივლისს. პუანკარემ ხელი მოაწერა იმ ბრძანებას, რომლითაც საფრანგეთმა და ალჟირში საალყო წესები გამოცხადდა.

**პარიზი.** ოფიციალურათ. იტყობინებიან, რომ გერმანია შეიჭრა საფრანგეთში სირესს მახლობლათ. მინისტრთა საბჭო შეკრებილია ელისეის სასახლეში.

**ლონდონი.** ფლოტის სათადარიგო ჯარის კაცნი სამსახურში გაიწვევს.

საფრანგეთის ელჩმა ვივიანისაგან დეპეშა მიიღო რომლითაც საფრანგეთი აცხადებს პროტესტს ლიუქსენბურგის მიწა-წყალზე ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო, საფრანგეთის საზღვრის „პტი-კრუა“-ს მახლობლათ. გერმანიის ცხენოსანმა ჯარმა ათი კილომეტრით წინ წაიწია საფრანგეთის მიწა-წყალზე სელზერამდი, სადაც მოკლული იქნა გერმანიის 2 აფიცერი გერმანიის მოწინავე რაზმი, რომელიც საფრანგეთის მიწა-წყალზე გადვიდა, ჟენსერის მიდამოებში თავს წააწყდა ფრანგ-ჯარის კაცებს —მოწინავე რაზმის კამანდირმა მოკლა ფრანგი ჯარისკაცი, მაგრამ იქვე თვითვე მოკლულ იქნა მეორე ფრანგისგან; საფრანგეთის მოწინავე რაზმი ბელფორის მიდამოების ტყეში თავს დაესხა გერმანელ ულანებს და დატყვევა, გერმანელ ცხენოსანთა რაზმმა ბელფორის აღმოსავლეთით მიაღწია სიუარსამდი. ქალაქის თავისაგან მოგროვილი ცხენები შეკრებილნი მობილიზაციის გამო გერმანელებმა გაიტაცეს, ხოლო მეჯინიბენი კი დაატყვევეს. მერვილში დაატყვევეს ავტომომილი და ხუთი კაცი, ესენი ჭრიდენ ტელეგრაფის მავთულებს.

**კოპენჰაგენი.** ვოლფის სააგენტო იუწყება ბერლინიდან, რომ საფრანგეთის ავიატორები ყუმბარებს ისროდენ ნიურენბერგსის მიდამოებში.

**ლონდონი.** ბრიუსელიდან დეპეშით იუწყებიან, რომ გერმანიის 100,000 კაცისაგან შემდგარი ჯარი ლიტქსენბურგის გზით საფრანგეთის საზღვრებზე იკრიბებაო.

„ცენტრალიუს“ იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო გემმა შეიპყრო ინგლისის ნახშირის მზიდავი ხომალდი ,,საქსონი‘‘.

**პარიზი.** მონველიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ლონგვეის მხრიდან მოისმის დიდი ხმა. ლიუქსენბურგის მინისტრ-პრეზიდენტმა ვივიანს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც ატყობინებს, რომ გერმანიამ დაარღვია დიდ საჰერცოგოს ნეიტრალიტეტიო.

**ბერნ.** მოკავშირეთა საბჭომ დაადგინა დაუყონებლივ გამოცხადებულ იქნას შვეიცარიის საყოველთაო მობილიზაცია.

**ოტავა.** საჩქარო ბრძანებაა ფლოტის სათადარიგო ჯარის კაცთა მოწვევის შესახებ.

**სტოკჰოლმი.** შვეციამ მიიღო განსაკუთრნბული ზომები თავის ნეიტრალიტეტის უზრუნველ საყოფელათ.

**ნოვგოროსიისკი.** დატყვევებულ იქნა ნავსადგურში მყოფი გერმანიის ხომალდი „ატლას“ გემზე მოსამსახურენი ნაპირზე გადმოსხეს. ბრძანება გასცეს, რომ დაატყვეონ ზღვაში გასული ხომალდი ავსტრიელებისა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატისადმი 20 ივლისს 1914 წ. საერთო სახელმწიფოებრივ მიზეზების გამო, ვცნობთ რა შეუძლებლათ ახლავე ჩაუდგეთ სათავეში საომარ მოქმედებისათვის გამზადებულ ჩვენ ხმელეთსა და საზღვაო მებრძოლ ძალებს, კეთილ ვცანით ყოვლად უმოწყალესათ ვუბრძანეთ გენერალ ადიუტანტს, მთავარ სარდალს გვარდიის ჯარისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქისას, კავალერიის გენერალს, მის იმპერატორებით ნიუმაღლესობას დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს იყოს უმაღლეს მთავარსარდლათ.

**უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატისადმი.** უმაღლესის ჩვენის ბრძანებითა, რომელიც მივეცით უმართებულეს სენატს ამა ივლისის 17-სა დღესა, საჭიროთ ვცანით ჩვენ საომარ ფეხზე დაგვეყენებინა ჯარი და ფლოტი. ამის და მიხედვით და ამ ზომის სრულიათ უზრუნველ საყოფელათ ვბრძანეთ, დაუმორჩილდენ სამხედრო წესებს ჩვენის იმპერიის შემდეგი ადგილები: სადაც სამოქალაქო მართველობანი უნდა დაემორჩილენ სათანადო სამხედრო ოლქების მთავარ გამგებლებს: ს.-პეტერბურგის გუბერნია და ქ. პეტერბურგი. ესტლიანდიის და ლიფლიანდიის გუბერნიები, ნოვგოროდის გუბერნიის ვალდაის მაზრა, კურლიანდიისა ეკოვნოსი, სუვალკისა; ვილენსკისა და ვიტებსკის გუბერნიები, პსკოვის გუბერნიის ფსკოვის მაზრა, ლომჟისა, პლოცკისა, ვარშავისა, კალიშისა, პეტროკოვისა ლუბლინისა, გროდნოსი, ტელეცკისა, სადომისა, ხოლმისა, ვოლინისა, პოდოლისა. კიევისა, ბესარაბიისა და მინსკის გუბერნიები. სმოლენის მაზრა მინსკის გუბერნიისა და გომელის მაზრა მაგილოვის გუბერნიისა. პოლტავის გუბერნიის ზოლოტონოშისა. პერეიალავისა და კრემენჩუგის მაზრები. ჩერნიგოვის გუბერნიის ოსტერის მაზრა. ეკატერინოსლავის გუბერნიის ვერხოდნეპრისა და ეკატერინოსლავის მაზრები. ყუბანის ოლქის ტემრიუკის განყოფილება, შავიზღვის პირა გუბერნია, სოხუმის ოლქი, ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდისა, სენაკისა და ოზურგეთის მაზრები და ბათუმის ოლქი. უმართებულესი სენატი ნუ დააყოვნებსა აღსრულებათ ამა ძრძანებისა, დედანზე მისის იმპერატორებითა უდიდებულესობის საკუთარ ხელით აწერია „ნიკოლოზი“ პეტერგოფი 20 ივლისი 1914. შეამოწმა სამხედრო მინისტრმა სუხომლინოვმა.

## ახალი დეპეშები.

**პარიზი.** 21 ივლისი. ნაბძანებია, რომ ავსტრიელებმა და გერმანელებმა დასტოვონ პარიზი, დანარჩენ სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს შეუძლიათ დარჩენა იმ პირობით, თუ გამოეცხადებიან ადგილობრივ მთავრობას.

„ჰავასი‘‘ იუწყება, რომ ჯარების კონცეტრაცია რიზიანათ ხდება. ჯარის საგერი მოქმედებები სამხედრო უფროსებს აკმაყოფილებს.

**ლონდონი.** ფლოტის სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაცია უკვე დაიწყო. გამოცხადდა კერძო მორატორიუმი, რომლის ძალითაც ვექსილების განაღდება ერთი თვით გადაიდვა. ლონდონიდან მიმავალ გერმანიის სათადარიგო ჯარისკაცებს რკინის გზის სადგურებზე ხალხი სტვენითა და მტრულის ყვირილით შეხვდა. ამბობენ, რომ კაბინეთის უკანასკნელი სხდომის დროს მიღებულ იქნა დიდათ საყურადღებო გადაწყვეტილებანი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ საფრანგეთმა პროტესტი განაცხადა ომის წინააღმდეგ, რადგანაც ეს ომი მას გამოუცხადეს სრულიად უმიზეზოთო. ინგლისის ტერიტორიაზე ლაგერათ მყოფს ჯარს ებრძანა დაუბრუნდეს თავის მუდმივ ბინას. ბრიუსელიდან იტყობინებიან, რომ გერმანიამ ბელგიას წარუდგინა ულტიმატუმი და მოსთხოვა თავისუფალი გამოსავალი გზა მისცეს გერმანიის ჯარებს ბელგიის ტერიტორიაზე, თუ ბელგია ამ მოთხოვნას აასრულებს, გერმანია მორიგებას პირდება. იქიდანვე იტყობინებიან, რომ გერმანიის ფლოტმა გაიარა რა კილის არხი, დასავლეთისკენ გაემგზავრაო.

**ბრიუსელი.** „ლეტუალ ბელჟ‘‘ იუწყება, რომ გერმანიის ჯარი საფრანგეთის საზღვრებზე ლეჟიდან ჩრდილოეთით 10 კილომეტრის მანძილზე ვიზამდი მივიდაო.

**ბელგრადი,** 19 ივ. ნაშუადღევის 5 საათზე ბელგრადს კვლავ ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ სროლა მალე შეწყდა, რადგანაც კოკისპირული წვიმა იყო. ავსტრიელების ცდა როგორმე საზღვარს გადასულიყვენ, ამაო გამოდგა.

**ცეტინიე.** ჩერნოგორიის ჯარი ავსტრიის საზღვრებისკენ გაემგზავრა. ავსტრიის ჰაეროპლანები ლევჩანოს დასტრიალებენ თავს.

**მალტა.** გამოცხადდა სამხედრო წესები.

22 ივლისი.

**ლიუქსენბურგი.** ლიუკსენბურგის დიდსამთავროს პრეზიდენტმა ბიშენმა მიმართა სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელთაც უნდა დაეცვათ სამთავროს ნეიტრალიტეტი და პროტესტი განაცხადა იმის, რომ 20 ივლისს გერმანელებმა გადალახეს მიწა-წყალი ლიუკსენბურგის სამთავროისა და გაემგზავრენ სამხრეთისაკენ. გერმანელებმა გაატარეს ჯარითა და სამხედრო სურსათით დატვირთული რამდენიმე სამხედრო ჯავშნიანი მატარებელი. ასეთი ფაქტები ეწინააღმდეგება სამთავროს ნეიტრალიტეტს და არც დააყოვნებს განუცხადოს თავისი პროტესტი გერმანიის იმპერატორის წარმომადგენელს.

**კოპენჰაგენი.** იუწყებიან, რომ პრუსიის ბანკმა სარგებელი ასწია ექვს პროცენტამდი, ხოლო ავსტრო-უნგრეთის ბანკმა კი 8 პროცენტამდიო.

## მაკედონიის ეროვნებათა ბრძოლა თავისუფლებისათვის

გაგძელება იხ. „იმერეთის“ № 112.

წინათ კონსტიტუციამდი მაკედონიის შკოლები როგორც ყველა სხვაგან ოსმალეთში, თავისუფალი იყვნენ მთავრობის კონტროლისაგან. ქრისტიანული შკოლები მაკედონიაში არსებობდენ საპატრიარქო, საეგზარხოსო და ან კერძო ქველმოქმედთა ხარჯით. მათ განაგებდა ადგილობრივი საზოგადოება, ხოლო უმთავრეს გამგეებათ ითვლებოდენ. ბერძნული სკოლებისთვის კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი ბულგარელებისთვის სტამბოლის ეგზარხოსი, სერბიისთვის მათი ეპისკოპოზი და ვლახებისთვის მათი ოფიციალური წარმომადგენელი სულთანთან. რა თქმა უნდა, არც პატრიარქს არც ეგზარხოსს და არც სხვებს არ შეეძლოთ თავისი ბიუჯეტით გაძღოლოდენ სასწავლო დაწესებულებათა ხარჯს. ამიტომ მათი მატერიალურათ უზრუნველ ყოფა თავზე ჰქონდათ აღებული თავთავის რაიონებში ბულგართას, საბერძნეთს სერბიასა და რუმინიას.

ახლა მთავრობამ აქაც მოინდომა ხელის ჩარევა და თავისი ცენტრალიზმის დაღის დასმა. მაგრამ, თუ სურვილი ასეთი ნაღვილი იყო, მისი სისრულეში მოყვანა სრულიად შეუძლებელი გახდა. მთავრობის კონტროლზე დათანხმება სკოლებში მოასწავებდა მათ ეროვნული პროპაგანდის მნიშვნელობის დაკარგვას. მხნე და გაორკეცებული მუშაობა კი ეროვნულსა და კულტურულ ნიადაგზე ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭირო იყო მაკედონელებისთვის, რადგან მათ სხვა აღარაფერი იმედი არ რჩებოდათ შემდეგისთვის, გარდა თვითმოქმედებისა და ხელჩაკიდებული საქმიანობისთა განთავისუფლებულ თანამოძმეებთან.

მაკედონიის მცხოვრებნი და ბალკანეთის სახელმწიფონი, მართალია, იმედით შესცქეროდენ ახალგაზდა თურქთა მოძრაობას, მაგრამ ესენი სრულიადაც არ მოხიბლულან მათი გამარჯვებით და ხელიდან არ დაუყრიათ ის იარაღები, რითიც აქამდი გზას ჰკაფავდენ თავისუფლებისკენ. ამისთვის კვლავინდებურად გამუდმებით და უმთავრესად მუშაობდა სამი აგენტი: მღვდელი, მასწავლებელი და რაზმელი, რომელთაც ადგილობრივი კომიტეტები ხელმძღვანელობდენ. მღვდელი, უპირველესად ყოვლისა, წარმომადგენელი იყო ეროვნული ეკლესიისა და მისი ინტერესების დამცველი, მაგრამ ის ამაში არ სჯერდებოდა, ხშირად ის უკუაგდებდა თავის ანაფორას, წელზე ხმალს ირტყამდა და წინ უძღოდა შეიარაღებულ რაზმელებს. ამას სჩადიოდენ არა მარტო მღვდლები, არა არამედ ხანდისხან ეპისკოპოზებიც კი. რაზმები აღმასრულებელი ძალა იყო კომიტეტებისა, რომლებიც სცდილობდენ მათის შემწეობით ძალით თუ ნებაყოფლობით, რაც შეიძლება მეტი მომხრეები შეეძინათ თავ-თავისი ეროვნებისათვის. ამ რაზმებს ხშირად თავში უდგენ პროფესორები, დამსახურებული საზოგადო მოღვაწენი და სამხედრო პირნი. ეს რაზმები სჯიდენ დამნაშავეთ, კრეფავდენ საკომიტეტო გადასახადს და სხვ. ერთის მხრით ისინი ხალხის კეთილდღეობისათვის მუშაობდენ, მაგრამ, საუბედუროთ მასვე აწვენენ თავზე საკვებავად, ამასთანავე მათსმოქმედებას თან სდევდა დაუნდობლობა და უსამართლოება. ისინი, საცა გაუვიდოდათ ძალით აბერძნებდენ, აბულგარებდენ იმისდა მიხედვით, თუ ვისი იყო რაზმი. ყველაზე დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდათ შკოლებს. ყველაზე კარგა საშკოლო საქმე ბულგარლებს ჰქონდათ დაყენებული. ყველა სოფელში იყო გამართული, დაბალი სკოლა და თითოეულ ცენტრში საშუალო სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში დასაწყისიდანვე ბავშებს ეძლეოდათ ეროვნული აღზრდა-განათლება, უმეტესს ნაწილათ უსასყიდლოთ.

1910 წლამდი ბალკანეთის სახელმწიფოებს და მათს ეროვნულ ორგანიზაციებს მაკედონიაში არაფერი საერთო არ ჰქონდათ და მტრობის მეტს ერთმანეთს არაფერს არგებდენ, საერთო მათი მტერი კი ოსმალეთი მათ ერთმანეთზე ამხედრებდა და მოწინააღმდეგის სისუსტით სარგებლობდა. ეროვნული შუღლი და შთამომავლობითი სიძულვილი ერთმანეთისადმი ფარავდა საერთო მიზანს და ინტერესებს და შენ-ჩემობას ამეფებდა. აი, ერთი პატარა მაგალითი ამ შეურიგებლობისა: ბოლო ხანებში ევროპის პრესაში გავრცელდა ხმები, რომ ინგლისი წინადადებას აძლევს ევროპას, რომ მაკედონიას ავტონომია მიენიჭოს მონტენეგროს მთავრის მეორე შვილის პრინც მირკოს მეფობის ქვეშ; მაკედონელები ერთხელ და სამუდამოთ აცხადებენ, რომ თავის დღეში უცხოელი პრინცი ფეხს ვერ დაადგამს მათი სახელოვანი სამშობლო საბერძნეთის წმინდა მიწა-წყალზე და მათი ერთადერთი სურვილი და მისწრაფებაა მაკედონიის შეერთება მათ დედა სამშობლო საბერძნეთთან“, ასე სწერდა გამოჩენილ ევროპიელ მოღვაწეთ და ჟურნალისტებს 1906 წ. ათონის მაკედონიის კავშირის თავჯდომარე იეროიასის*) ამგვარივე ამპარტავნული ენით ლაპარაკობდენ დანარჩენნიც. გარდა ამ დამღუპველი შოვინიზმისა, ბალკანეთის კავშირის შედგენას ხელს უშლიდა აგრეთვე ევროპაც.

### VI

საზოგადოთ ბალკანეთისა და მაკედონიის ევოლუცია სრულიად დამოკიდებული იყო დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის ევოლუციისაგან აღმოსავლეთში.

როგორც ვიცით, ლორდ ბიკონსფილდის დაჟინებით ბერლინის კონგრესზე ბისმარკი იძულებული იყო მიეღო ოსმალეთის ხელშეკრულობის პრინციპი. მაშინ ინგლისი მფარველობდა ოსმალეთს, ახლა კი ბოლო ხანებში ეს როლი გერმანიის ხელში გადავიდა. მისი ვაჭრობა აქ შესამჩნევლათ გაიზარდა სულ ცოტა ხანში; მისმა კაპიტალისტებმა ხელი მოჰკიდეს რკინის გზისა და სხვაგვარ კონცესიებს; მის სამხედრო ქარხნებს უკვეთავს ოსმალეთის მთავრობა ჯარებისთვის საჭირო იარაღს; მისივე სამხედრო ინსტრუქტორები იყვენ მიღებული ჯარში. ამიტომ გერმანია მუდამ მხარს უჭერდა თურქებს მაკედონიაში, რადგანაც მას აქ მაინცა და მაინც ბევრი ინტერესი არ ჰქონდა.

ინგლისის პოლიტიკა კი ოსმალეთში სავსებით შეიცვალა: პროტექტორისაგან იგი გადაიქცა ოსმალეთის ეროვნებათა თავისუფლების ჩემპიონათ უკვე გლადსტონმა გამოაცხადა: მაკედონია მაკედონელებს, და ამას შემდეგ ინგლისს არ უღალატნია ამ პრინციპისთვის. თუ რამე გაკეთდა მაკედონიის რეფორმებისთვის, ისიც სულ ინგლისის წყალობით. მან უკვე მჭიდრო ნიადაგი მოიპოვა ეგვიპტეში და შორეულ აზიაში და ოსმალეთი სულაც რომ დანგრეულიყო აღარაფერი ენაღვლებოდა და ამითი გამოწვეულ შესაძლებელ კონფლიკტში ის ღირსეულათ დაიცავდა თავის ინტერესებს.

რუსეთს დიდხანს ეჭირა პირველი ალაგი ბალკანეთის პოლიტიკაში. მიუხედავათ მისი დამარცხებისა ბერლინის კონგრესზე, ოსმალეთის ქრისტიანები მას თავის მხსნელათ სთვლიდენ; ასეთი მძლავრი იყო გავლენა 1878 წლ. გამარჯვებისა. მაგრამ რუსეთმა, გაბმულმა შორეულ აღმოსავლეთის საქმიანობაში, ვერ ისარგებლა თავისი გავლენით და თავი მიანება თავის განსაკუთრებით ზრუნვას მაკედონიისათვის, რასაც, როგორც ვიცით, მოჰყვა მისი დიპლომატიური დამარცხება ბალკანეთში ავსტრიამ ისარგებლა რუსეთის დროებითი უყურადღებობით ბ ორი პროვინცია, სლავიანებით დასახლებული, ბოსნია და ჰერცოგოვინა შეუერთა თავის საზღვრებს.

ავსტრო-უნგრეთი მუდამ ეწინააღმდეგებოდა ბალკანეთის სახელმწიფოების გაძლიერებას და მისი ბალკანეთის პოლიტიკა მიმართული იყო იმ მიზნისკენ, რომ მაკედონია არ ჩავარდნოდა ადგილობრივ სახელმწიფოებს. ამას გარდა მას თვალი ეჭირა სალონიკისაკენ, რომ მისი ხელში ჩაგდებით ეგეის ზღვაზე გაბატონებულიყო

*) იხ, გაზეთი Temps, 2 ეკენისთ, 1906.

ბუდაპეშტი. აქ მოვიდა ჰერცჰერცოგი ფრანც-იოსები. მას ხალხი აღტაცებით შეხვდა. იგი ესაუბრა გერმანიისა და იტალიის მთავარ ელჩებს.

ლონდონი. ინგლისის მთელ პრესაში მხოლოდ ორი გაზეთიღა იცავს ინგლისის ნეიტრალურ პოლიტიკის საჭიროებას.

22 ივლისი.

პეტერბურგი. ზოგიერთი ადგილობრივი დაწესებულებანი ეკითხებიან ცენტრალურს: საჭიროა თუ არა, რომ ახლავე წავსტოვოთ ომის მხრივ საშიში ადგილები და სახელმწიფო ქონებაც გადავზიდოთ. მინისტრთა საბჭომ განიხილა რა ეს საკითხი, იმ აზრს დაადგა, რომ ასეთი ზომების მიღება ჯერ საჭირო არ არის, ხოლო სახელმწიფო ქონების გადაზიდვა უნდა მოხდეს სამხედრო ოლქებისა და ჯარების უფროსების ნება დართვით, თუ კი ამას სამხედრო საჭიროება მოითხოვს.

ვლადივოსტოკი. წინაამდეგ გაზ. ,,რუსკი ვოსტოკისაგან'' გავრცელებულის ხმებისა, ვლადივოსტოკში მყოფი იაპონიის ელჩი აცხადებს, რომ იაპონიას არავითარი შეთანხმება არა ჰქონია ავსტრიასთან და ევროპისათვის ამ მძიმე დროს იაპონია ივლის ხელი-ხელ ჩაკიდებული ინგლისთან, ხოლო შორეულ აღმოსავლეთის საკითხებში კი—რუსეთთან და საფრანგეთთან. საზოგადოთ, იაპონია თანახმა იქნება იმ პოლიტიკისა, რომელსაც დაადგება სამი შეთანხმებული სახელმწიფო.

ჩიფუ. გამოცხადდა სამხედრო წესები.

ძინდაო. უცხოელებს აქ ცხოვრება აეკრძალათ. გერმანიის გემები არ გადიან.

ტოკიო. სედიუკაის პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ ტაკეროზიმ—განუცხადა იაპონიას, რომ ახლა კი დადგა ის დრო, როცა შეგვიძლია დავუმტკიცოთ რუსეთს ჩვენი კეთილგანწყობილება და საშუალება მივსცეთ, რომ მთელი ყურადღება დასავლეთს მიაქციოს. დანარჩენი პარტიებიც რუსეთისადმი კეთილ-განწყობილებას იჩენენ.

23 ივლისი

ოდესსა. ვაჭართა წარმომადგენლების საზოგადო კრებამ ეროვნულ სამხედრო ფონდისათვის გადასდვა 25 ათასი მანეთი.

სამარა. ქალაქის საბჭომ გადასდვა ერთი მილიონი მანეთი დაჭრილებისა და სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ.

კონსტანტინოპოლი 21 ივლისი. გამოცხადდა მორატორიუმი ერთის თვით. მობილიზაციის გამო მთელ სახელმწიფოში შემოიღეს საალყო წესები. უცხო სახელმწიფოების გემთა საზოგადოებებმა მიმოსვლა შესწყვიტეს.

ოდესსა. სამხედრო დავლათ დაატყვევეს ნავსადგურში მდგომი სამი საბარგო გემი გერმანელებისა. გემებზე აღმოჩნდა უმავთულო დეპეშების სადგურები.

ლიბავა. გაიმართა დიდებული პატრიოტული მანიფესტაციები.

23 ივლისი.

**უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს.**

ოფიციალური.

**პეტერბურგი.** ვცანით რა უსაჭიროესათ, რომ კერძო თუ საზოგადო მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ არ გავრცელდეს ცნობები მიღებულ ზომების შესახებ ბეჭდვითი სიტყვისა, ფოშტა-ტელეგრაფისა, კერძო ბაასების, სიტყვებისა და მოხსენების მეოხებით, როგორც ხმებსაც შეუძლია ზარალი მოუტანოს სახელმწიფოს ინტერესებს და ვამტკიცებთ რა **ჩვენდამი** მინისტრთა საბჭოსაგან წარმოდგენილს განსაკუთრებულ ჟურნალს ამ საგნის შესახებ, **ჩვენ** თანახმათ 1906 წ. გამოცემულ სახელმწიფო ძირითად კანონების 87 მუხლისა, **ვბრძანეთ:** 1) მოქმედება დაიწყოს **ჩვენმიერ** დამტკიცებულმა დროებითმა დებულებამ სამხედრო ცენზურის შესახებ. 2) ნება ებოძოს შინაგან საქმეთა მინისტრს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია მინისტრთა საბჭოს დაწესებულებაში, მობილიზაციის გამოცხადებისა და ომის დროს აკრძალოს ხოლმე საჯარო სიტყვებსა და მოხსენებებში გამოქვეყნება იმგვარის ცნობებისა, რომელიც შეეხება რუსეთის უზრუნველყოფას საგარეო პოლიტიკაში ანუ შეიარაღებულ ძალებს და იმ შენობებს, რომლებიც დანიშნულ არიან ქვეყნის დასაცავათ. 3) ნება მიეცეს ჯარების განყოფილებათა მთავარ სარდლებს, თუ საჭიროთ დაინახვენ ომის სათანადო საწარმოებლათ, განსაზღვრულ დროის განმავლობაში თვისი ნებით აკრძალონ ხოლმე მათდამი რწმუნებულ ადგილებში ყოველგვარი კრებები და შეაჩერონ დროგამოშვებითი გამოცემანი და აგრეთვე ფოშტა-ტელეგრაფით გასაგზავნი წერილ-დეპეშები. 4) სისხლის სამართლის დებულებანი ტომი მე-15-ე, გამოც. 1885 წლისა, სტატია 275 ნიშნით 2 და 1012 ნიშნ. 4 და შემდეგი.

**პეტერბურგი.** რადგანაც ქვეყანა ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს განიცდის, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის განკარგულებით, 21 ივლისიდან საბჭოს კრებები ყოველდღე მოხდება. შინაგან საქმეთა მინისტრს განზრახვა აქვს, მიჩენილ ადგილებს გარეშე მცხოვრებ ებრაელ ხელოსანთა, კბილის ექიმთა და სხვათა, ე. ი. ებრაულ სჯულის აღმსარებელთა ოჯახები დატოვებულ იქნან იქ, სადაც ცხოვრობენ დღეს, თუ მათი ოჯახის უფროსები (?) (ჯარში არიან გაწვეულნი) მინისტრთა საბჭომ დაადგინა გადასდვას 2 მილიონი მანეთი საერო დაწესებულებათა და ომში გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლათ.

პარიზი. ,,ჰავას'' დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან, რომ ინგლისის ფლოტის მობილიზაცია უკვე მოხდა და იგი სდგას ჩრდილო ზღვის შესავალში, დღეს მთავრობა გამოსთხოვს პარლამენტს 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს ქვეყნის დაცვის საჭიროებისათვის.

ბელგრადი. 20 ივლისი. საღამოს ცხრა საათზე ავსტრიელებმა ტყვიის მფრქვევლები დაუშინეს სერბიის მოწინავე ჯარებს. სროლამ შუაღამემდის გასტანა. ამას შემდეგ დაიწყეს ზარბაზნების სროლა. იმ შემთხვევაში, თუ კიდევ დაუშინეს ბელგრადს ზარბაზნები, სერბებს განზრახვა აქვთ შემოავლონ ნეიტრალური წრე სამეფო სასახლესა და უცხოელთა საელჩო შენობებს.

# ქუთაისი.

ახალი ამბავი.

✦ 17 ივლისს გელათის მონასტერს ეწვია თფილისის ეპარქიალური სასწავლებლის ინსპექტორი დეკ. კეკელიძე. ის გელათში ათ დღეს დარჩება. ამ ხნის განმავლობაში დეკ. კეკელიძე ეცდება მონასტრის სიძველეების გაცნობას და აგრეთვე წმინდანების ცხოვრების ცნობების შეკრებას.

✦ 22 ივლისს ღამით თავის ბინაზე დააგაზეთ ,,აზრის'' კორექტორი ალ. რუხაძე.

✦ ამას წინათ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ იყო გახსნილიყო ქუთაისში წყალგამოღმა ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამის შესახებ გუშინ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებამ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ თფილისის განყოფილებამ ამის შესახებ უფროს სამართველოს პეტერბურგს ყოველივე ცნობა გაუგზავნა 20 ივლისო.

✦ აგარაკ ბახმაროზე „ჯანმთელობის ამხანაგობას“ გამოწერილი ჰქონია შემდეგი ქართული გაზეთები: „სახალხო ფურცელი“, „ჩვენი აზრი“, „იმერეთი“, „ბათომის გაზეთი“, „თემი“, „ვარსკვლავი“ და სხვა.

✦ რედაქციამ მიიღო თედო ჟორდანიას წიგნი, რომელიც შეიცავს 1) ქართული ენისათვის ბრძოლას 1882—1910 წლებში და 2) ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში? ანტიკრიტიკა პასუხათ ბ. ი. ფანცხავას და მის კომპანიას. წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 62 გვერდს.

✦ ყვირილის წვრილი კრედიტის რწმუნებულთა კრება „სამაზრო კავშირის“ დასაარსებლათ სხვა დროისათვის გადიდვა.

✦ ჭიათურის რკინის გზით ივნისის თვის განმავლობაში გაუზიდავთ სულ 7,594,950 ფუთი შავიქვა.

✦ შალვა ამირეჯიბის ლექცია ქუთაისში 22 ივლისს კიდევ არ შესდგა.

✦ როგორც ს. სუმბათოვოდან (ბორჯომის რაიონი) გვწერენ თფილისის გუბერნატოს ნება დაურთავს მასწავლებელ ნოე დევიძისათვის გახსნას სოფ. სუმბათოვოში უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო.

✦ ამ ჟამად ქალაქის საავათმყოფოში 40 ავათმყოფი იმყოფება.

✦ ფოთისა და ბათომის ნავსადგურებიდან ივნისის განმავლობაში გაუზიდავთ 7.373,653 ფუთი შავიქვა.

✦ 17 ივლისს აგარაკ ბახმაროზე ჩიტო შარაშიძის ქალმა წაიკითხა ლექცია ,,ევნატე ნინოშვილზე'' ლექციას ხალხი ბლომათ დაესწრო.

✦ 31 ივლისს საზოგადო საკრებულოს საზაფხულო შენობაში გაიმართება საოჯახო საღამო, ცეკვა და ლოტო.

✦ ს. ქორეთიდან შემდეგს გვწერენ: 19 ივლისს აქ დიდი უბედურება დატრიალდა. გლეხებს ცაბაძეს და აბრამიშვილს ერთ ადგილზე დავა ქონდათ კაპანაძეებთან. კაპანაძეს ეს ადგილი კიდეც მოუგეს და ჩააბარეს. სადილობის დროს ამ ადგილში ქალებს კინკლაობა მოუვიდათ, ერთიმეორეს ლანძღვა დაუწყეს. საქმეში კაცებიც ჩაერიენ და ჩხუბიც გაიმართა. ჩხუბის დროს სუბუქათ დაიჭრა 4 ქალი და ერთიც კაცი. სასიკვდილოთ თოფით დაიჭრა მოხუცი გლეხი ცაბაძე და ახალგაზდა სერგო კაპანაძე—ხანჯლით. კაპანაძე მალე გადაიცვალა. ცაბაძის მორჩენაც საეჭვოა.

✦ ჭიათურის რკინის გზით სულ ამა წლის პირველ იანვრიდან გაუზიდავთ 40,104,500 ფუთი შავიქვა. ბათომისა და ფოთის ნავსადგურებიდან კი 38,564,885 ფუთი შავიქვა.

# თფილისი

**ომის გარშემო.** შაბათს და კვირას თფილისში კვლავ გაიმართა მანიფესტაციები.

— გერმანიის მიერ რუსეთთან ომის გამოცხადების გამო კვირას, 20 ივლისს, საგანგებო კრება ჰქონდა თფ. ქალაქის გამგეობას, რომელმაც დაადგინა: 1) გადაიხადოს ერევნის მოედანზე პარაკლისი, რათა რუსეთის მხედრობას ძლევა მოენიჭოს, 2) მოიწვიოს 21 ივლისს ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება და 3) გადასდვას ომში დაზარალებულთა სასარგებლოთ 25,000 მან.

— 21 ივლისს ერევნის მოედანზე ქალაქის გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქნა პარაკლისი.

— ორშაბათის გაზეთ „ვარსკვლავი“-ს უკანასკნელი ნუმერი საცენზურო კომიტეტის განკარგულებით აკრძალეს.

— თფ. ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორად მიიწვიეს ხონის საოსტატო სემინარიის ინსპექტორი ალექსი ჭიჭინაძე.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ალექსანდრეს ბაღში კაფე-რესტორანი გახსნას.

— **თავისუფალი სტიპენდიები.** ამ ჟამად თფ. ქალაქის თვითმართველობაში თავისუფალია სამი სტიპენდია, თითო 500 მანეთიანი წელიწადში. სტიპენდიები მიეცემა ქართველებს, მხოლოდ უნდა იყვენ თფილისში დაბადებული, თფილისში უნდა ჰქონდესთ საშუალო სასწავლებელი დამთავრებული და უნდა სწავლობდენ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში. ორი სტიპენდია კაცისაა, ერთი ქალისა.

— **ტრამვაის მუშათა გაფიცვა** გრძელდება. იმ გაფიცულებმა, რომელნიც სათადარიგო ჯარისკაცებად ითვლებოდენ, დირექციისაგან უკვე მიიღეს სრული ანგარიში. დანარჩენ გაფიცულთ ანგარიში. დღესაც არ მიუღიათ.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა: გაფიცულ მუშებს მოწოდებით მიმართოს, რათა გაფიცვა შესწყვიტონ.

# ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

**ავსტრიის მეფის მანიფესტი.**

ავსტრიის მეფემ ფრანც იოსებმა მინისტრ პრეზიდენტს გრაფ შტიურკას დაავალა, რომ სერბიის მთავრობას შეატყობინოს ავსტრიისაგან ომის გამოცხადება და თანაც ხალხის მიმართ მისი სახელით გამოაქვეყნოს შემდეგი მანიფესტი: ჩემი გულწრფელი სურვილი იყო ის მცირე ხანი, რომელიც [illegible] სასიცოცხლოთ შემეწირა მშვიდობიანობისა და ჩემი ხალხის დაცვისათვის. მაგრამ საქმე სულ სხვ[illegible]. ჩემი ხალხის ინტ[illegible]ჟის დასაცავად ვიღებ ხელში მახვილს. სერბიის მთავრობა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდი მე და ჩემს პაპებს გვეხმარებოდა და კარგათ გვეპყრობოდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მან სამტრო პოზიცია დაიჭირა ჩვენდამი, როდესაც ბოსნია-ჰერცოგვინაში 30 წლის ნაყოფიერ მუშაობას შემდეგ გავავრცელე ჩემი სახელმწიფოს კანონები, ამან გამოიწვია სერბიელებში ავსტრო-უნგრეთისადმი ზიზღი, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ჩემი მოქმედება არავითარ უფლებას არ არღვევდა. ჩემმა მთავრობამ მაშინ ისარგებლა სიძლიერით და რბილ ფორმაში მოსთხოვა სერბიას მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცთა რიცხვის შემცირება. მონარქია, ორი წლის წინათ სერბია-ოსმალეთის ომის დროს, იცავდა მხოლოდ მონარქიის ძირითად ინტერესებს და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო სერბიას, რომ ომში მან თავის მიზნები განეხორციელებია. იმედი, რომ სერბიის მთავრობა დააფასებდა ჩემს ამგვარ მოპყრობას, არ გამიმართლდა. სერბიელებში ჩემდამი და ჩემი ხალხისადმი შური თანდათან ძლიერდებოდა. მისწრაფება ავსტროუნგრეთის გამოუყოფელი ნაწილის გამოყოფვისა, მათში დღითიდღე აშკარავდებოდა. მათი უკანონო მოქმედება გავრცელდა საზღვარ იქითაც და დაასხა მიზნათ სამხრეთ აღმოსავლეთში ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოებ ივი წესწყობილების შერყევა. მთელი რიგი მკვლელობის მიზნით თავდასხმისა, მომზადებული და კარგათ მოწყობილი შეთქმულება მიზანს აღწევდა, ამ მიზნის მიღწევამ დასჭრა და დაკოდა როგორც ჩემი გული, ისე ჩემი ერთგული ხალხისა. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოღებოდა და სერბიის გამომწვევი მოქმედება უნდა შეჩერებულიყო. ამას თხოულობდა ჩემი ხალხის თავმოყვარეობის დაცვა. ჩემმა მთავრობამ უკანასკნელათ სცადა, რომ მშვიდობიანი გზითა და საშუალებით დაებოლოვებია საქმე. სერბიამ უარყო და არ შეიწყნარა ჩემი მთავრობის ზომიერი და სამართლიანი მოთხოვნილება. იძულებული შევიქენი, იარაღის ძალით დამეცვა ჩემს სახელმწიფოში მშვიდობიანობა და წესიერება. ამ სერიოზულ წამში ასეთი საქმის გადაწყვეტის დროს ამგვარ გადაწყვეტის მნიშვნელობაზე სრულ ანგარიშს ვაძლევ ჩემს თავს. მე ყველაფერი მოვიფიქრე და დაკვირვებით გავშინჯე. დამშვიდებული სინიდისით შევდგი ფეხი ამ გზაზე, ვინაიდან ამას მიკარნახებდა მე ჩემი მოვალეობა. ვლოცავ მე ჩემს ხალხს, რომელიც ყოველთვის იკრიბებოდა ჩემი ტახტის გარშემო და რომელიც მზათ იყო გაეღო მძიმე სხვერპლიც კი სამშობლოს დასაცავათ. ფრანც იოსები.

**დიპლომატიურ წრეებში.**

პეტერბურგის დიპლომატიურ წრეებში საქმის მშვიდობიანათ დაბოლოვების იმედი კიდევ უფრო გამაგრდა. მიყვა რა ჩვეულებრივ ტაქტიკას, გერმანიამ თავისი დაჟინებული მოთხოვნილება ცოტათი შეასუსტა. გუშინ კატეგორიული უარი განაცხადა გერმანიამ ინგლისის წინადადებაზე კონფერენციის შესახებ. ახლა კი გერმანიის დიპლომატია ირწმუნება კონფერენციის საკითხში ჩვენი პოზიცია ვერ გაიგეთო. გერმანიის ელჩმა მიუთითა საზონოვს იმ გარამოებაზე, რომ ედუარდ გრეის წინადადებას გერმანია სრული თანაგრძნობით ეკიდება. დიპლომატიურ წრეებში ამბობენ: გერმანია რყევაშია და კიდევ ვერ გადაუწყვეტია ომი თუ მშვიდობიანობაო.

**გერმანიის ფლოტი.**

გერმანიის ფლოტი თავის ნავსადგურებში დაბრუნდა ნავსადგურებზე გემების დიდი მოძრაობა.

**იტალია.**

იტალიის სამს სამხედრო გემს, რომელიც კლერდაში იმყოფებოდა, ბძანება მიუვიდა დაუყონებლივ დასტოვოს ინგლისის წყლები.

**მობილიზაცია ბელგიაში.**

ბელგიის მთავრობამ გასცა ბძანება სათადარიგო ჯარის კაცთა სამი კლასის მოწვევის შესახებ.

მაკედონიის საკითხით კი ჰაბსბურგების მონარქია იმდენათ იყო დაინტერესებული, რამდენათაც ეს მის საკუთარ პოლიტიკას ეგუებოდა. იტალია ყოველთვის ელოლიავებოდა ალბანიის ხელში ჩაგდებას და ადრიატულ ზღვაში გამაგრებას. სკოლების და მასიონერების საშუალებით ეს სახელმწიფო გავლენას ჰპოულობდა ალბანეთში, საერთო ბალკანეთის პოლიტიკაში კი უკანასკნელ დრომდი, ვიდრე ტრიპოლისს აიღებდა, ინგლისს ეხმარებოდა.

საფრანგეთს დიდი გავლენა აქვს აღმოსავლეთში. საფრანგეთის ენას და განათლებას ყველაზე უფრო პატივს სცემენ აქ ძველიდანვე. კარგა ხანი საფრანგეთი პროტექტორად ითვლებოდა მთელი ოსმალეთის ქრისტიანობისა, აქ მის კომერციას ძალიან სამნიშვნელო ალაგი უჭირავს. რესპუბლიკის მართებლობა ბალკანეთის საქმეებში დიდ ინიციატივას იჩენდა და ყველა მორალურ ზომას ხმარობდა, რომ მაკედონიის ცხოვრებაში მშვიდობიანობა დამყარებულიყო, მაგრამ მაინცდამაინც ერიდებოდა აქტიურ მოქმედებას, ვინაიდან მისი ინტერესები სირიაში, მას ნებას არ აძლევდა ფართოდ ემოქმედნა.

ახლო აღმოსავლეთი ცენტრია ევროპის ეკვილიბრიული მდგომარეობისა. აქ ერთმანეთს ეჯახება ათასი ინტერესი და მრავალი ,,შეიძლება''. ბალკანეთი და მაკედონია ხშირად მსხვერპლი გამხდარან ამ უფრო რთული პოლიტიკისა, როგორც კოზაკები აქლემების ჩხუბის დროს, მაგრამ უნდა სიმართლე ვაღიაროთ, რომ ევროპის დაუხმარებლათ ვერც ერთი ბალკანეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდა და აქაური ყოფა-ცხოვრება იმავე უნუგეშო მდგომარეობაში იქნებოდა, როგორც ამ 50 40 წლის წინათ იყო.

თვით უკანასკნელი ეპიზოდი ბალკანეთის ერთა ისტორიისა—ოსმალეთ-ბალკანეთის ომი, ევროპის უსიმპატიოთ ასეთი გამარჯვებით ვერ დაგვირგვინდებოდა. განა ათინის, სოფიისა და ბელგრადის პოლიტიკოსებს 1912 წლამდი არ ესმოდათ კავშირის აუცილებლობა, მაგრამ საქმე იმაში იყო, თუ როგორ შეხედავდა ამისთანა ნაბიჯს ევროპა. ომისათვის საჭირო იყო სამზადისი და ფული, რომელიც არცერთს ამ ღარიბ სახელმწიფოს არ მოეპოებოდა საკმარისათ, მაშასადამე, აქაც უნდა ევროპის კაპიტალისტებს გაემართათ ხელი. და, აი სწორეთ, როცა ყველაფერი მოწესრიგდა, ბალკანეთის ერებმა დროებით სძლიეს ნაციონალური სიძულვილიც და შეერთებული ძალებით დაუშინეს საერთო მტრებს.

წარსულ ომში ყველაზე დიდი როლი ბულგარიამ ითამაშა. უმთავრესი ომის სიმძიმე მან თავის ბეჭებზე აიღო და ბრწყინვალეთაც შეასრულა თავისი მისია. და აქაც რომ ევროპას ხელი არ შეეშალა, დიდი კონსტანტინეს ქალაქის კარები ფართოდ გაიღებოდა ფერდინანდისა და მისი ძლევამოსილი ჯარის წინ. რაც შეეხება თვით მაკედონელებს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, თავგამოდებით იბრძოდენ მოკავშირეთა წინა რაზმებში. ოსმალები გამოსდევნეს, მაგრამ კვლავ თავი იჩინა სასირცხვილო შოვინიზმა და მტრობამ, გუშინდელი ძმათ შეფიცულნი ერთმანეთს დაეტაკნენ და უსამართლოდ დასჩაგრეს ის, ვინც ყველაზე მეტი სისხლი დაღვარა ომში და შრომა გასწია.

შეიცვალა მაკედონიის ბედი. ახალგაზდა სახელმწიფოთა ნორჩმა ძალებმა შემუსრეს საუკუნოებრივი მონობა, მაგრამ მაინც ვერ მოსპეს უსამართლოება. ათი ათასობით ბულგარულათ მოლაპარაკე დარჩა საბერძნეთის საზღვრებში და საშინელ გაჭირვებას განიცდის. ნაციონალური ანტაგონიზმი კი არ მოისპო, უფრო გამწვავდა. მე ამაში ჩემის თვალით დავრწმუნდი ამას წინათ სერბია-ბულგარიაში მოგზაურობის დროს. ყველა ერთმანეთს ემუქრება და გულზე ხელს იკრავს ბრაზმორეული. როგორც ევროპის პრესა ლაპარაკობს ბულგარიასა და საბერძნეთში ომს ემზადებიან. ალბანელების აჯანყება, ეპირის რევოლუცია, გაუთავებელი იარაღის ჟღარუნი, ოსმალეთის ცოდვილობა სამაგიეროს გადახთისათვის, საბერძნეთის ჯარების მობილიზაცია—ყველა ეს ისეთი სახიფათო სიმპტომებია, რომლებიც ცხადათ ამტკიცებენ, რომ „შიპკაზე ჯერ ყველაფერი არ დამშვიდებულა“ და ახლო ხანებში შეიძლება ათასგვარი მოულოდნელი კრიზისი მოხდეს. თვით უკმაყოფილოთ დარჩენილი მაკედონელები ასე ადვილათ არ შეურიგდებიან თავის ბედს და, თუ საქმე ისე არ გამოკეთდა, როგორც მათ სურთ, ბალკანეთის მშვიდობიანი მდგომარეობა უზრუნველყოფილი ვერ შეიქნება.

Argo.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზოგიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები. მიღებულია და იყიდება პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა ... ნიწოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ“ въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ“ недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума“, считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ“ принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

მობილიზაცია ჰოლანდიაში.

ჰოლანდიამ მოიწვია სათადარიგო ჯარისკაცები და საზღვრებზე ციხებს ამაგრებს.

ოსმალეთის შეიარაღება.

სამხედრო სამინისტროში გაცხარებული მუშაობაა. გუშინდელი დღიდან როდოსტასა და დიმოტიკაში ჯარი იგზავნება. გალიპოლში ჯარის გადასაყვანათ დარდანელში ოთხი ტრანსპორტი გაიგზავნა.

სამხედრო ბჭობა.

პოდგორიცაში სერბია-ჩერნოგორიელთა სამხედრო ბჭობა მოხდა. გაერთიანებულ ჯარის ხელმძღვანელობა მიანდვეს ტახტის მემკვიდრეს ალექსანდრეს. მახლობელ თანამშრომლათ ეყოლება გენერალი პუტნიკი. ჯარის უმთავრესი ბინა კრაგუევატში იქნება.

სერბიის გასაჭირი.

ბულგარეთიდან ცნობაა სერბიაში მობილიზაციის საქმე ძალიან ცუდათ მიდისო. ეს გარამოება გამოიწვევს სერბიის ჯარის კაცთა ძალების შეკრების დაგვიანებას. ირწმუნებიან, სერბიელები ნიშამდი სულ უკან დაიხევენო.

სერბიიდან გამოქცეულები.

სალონიკში 2200 სერბიელი მივიდა. ავსტრიელების თავდასხმის შიშით ისინი ბელგრადიდან გამოქცეულან კიდევ მოელიან ძველი სერბიიდან გამოქცეულებს.

რეპრესიები ბოსნიაში.

შიშობენ,—ბოსნიაში აჯანყება არ მოხდესო. აჯანყების შიშით კაძლიერებული ჩხრეკაა. აპატიმრებენ სერბიელებსა და ხორვატელებს.

ერვეს განცხადება.

ცნობილი ანტიმილიტარისტი გუსტავ ერვე თავის გაზეთში სწერს- ჩვენ უძლური ვართ იმ საქმის მოწყობაში, რომ ყველა სახელმწიფოში ერთსა და იმავე დროს ომის საწინააღმდეგო საყოველთაო გაფიცვები მოვახდინოთ და ამის გამო საფრანგეთის სოციალისტების მოვალეობაა დაიცვას სამშობლო კერა, სამშობლოს თავისუფლება და კულტურა ისე, ვით ჩვენი ძველი რევოლუციონერი პატრიოტი ამა-პაპები.

მანიფესტაციები. ბიუროკრატიული პეტერბურგი გამოცოცხლდა. ყველას გაზეთი უჭირავს ხელში. დღეს გაზეთს დარაჯიც კი კითხულობს მეეზოვეცა და მეეტლეც. მანიფესტაციები განუწყვეტლივ ხდება. არავითარი წინასწარი მომზადება არ არის მანიფესტაციების მოსახდენათ. ხალხი სწრაფათ იკრიბება რედაქციის წინ, სადაც გამოკრულია ახლათ მიღებულ დეპეშის პლაკატები. აქ შეკრებილი ხალხი დადის ქუჩა-ქუჩა. მანიფესტაციები ხდება ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ქუჩაში. ყვირიან: „გაუმარჯოს სერბიას“, „რუსეთს“, ძირს ავსტრია“-ო ამბობენ სიტყვებსაც. ახლათ მოსულ აფიცრებს ხალხი სთხოვს სიტყვა სთქვიო. დიდი მანიფესტაციები ხდება ნევის პროსპექტზე სერბიის მისიის წინ.

პარაკლისი.

პეტერბურგში ყაზანის ტაძარში პარაკლისი გადაიხადეს სერბიელთა დასალოცავათ. პარაკლისზე მოვიდა სერბიის ელჩი და მისიის ყველა მოსამსახურე. შემდეგ მოვიდენ სერბიელი აფიცრები, რომლებიც მეორე დღეს ომში მიემგზავრებოდენ. მათ ხალხი დიდი ამბით შეხვდა.

მობილიზაცია რუმინიაში.

(რუსკოე სლოვოს) კორესპონდენტს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ მობილიზაცია რუმინიაში მას შემდეგ გამოცხადდა, რაც ბუქარესტსა და პეტერბურგს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება დასრულდა.

ბულგარეთი და ოსმალეთი.

ოსმალეთისაგან ნეიტრალიტეტის გამოცხადებას შემდეგ ორი საათის განმავლობაში თათბირობდენ ბულგარეთის ელჩი ტოშევი და დიდი ვეზირი. ტოშევმა უთხრა ვეზირს: ბულგარეთმა გადაწყვიტა ნეიტრალიტეტის დაცვა, მაგრამ ამასთანავე უფლება დაიტოვა დაარღვიოს ნეიტრალიტეტი მაშინ, როდესაც ბულგარეთის უფლებასა და ინტერესებს შელახვენ. პორტაც თავისი ნეიტრალიტეტს დაიცავს ისე, როგორც ბულგარეთი.

განცხადება.

გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, რომელიც მახლობელ მონაწილეობას ღებულობს მახლობელ აღმოსავლეთის საკითხში, გაზეთის წარმომადგენლებს 15 ივლისს განუცხადა: დადგა საგანგებო და საყურადღებო მომენტი; ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის ასრულება თხოულობს ჩვენგან დიდ სიფრთხილეს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ამ საქმეში დაგვეხმარება საზოგადოება და პრესაც. როგორც პირველი, ისე მეორე პირად თავმოყვარეობას თავს დასწევენ და მით კიდევ არ გაამწვავებენ ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას. არაოდეს არ ყოფილა ასეთი სერიოზული და პასუხისაგები მომენტი. ჩვენ გვჭირია უნარი თავის დაცვისა. რუსეთი ბოლომდი შეასრულებს მოვალეობას.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული ხოშტარავასი.




დაიწყო ხელის მოწერა

ჯაჯუ ჯორჯიკიას

თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება დაფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით ქუთაისი, ბაღის ქუჩა (Садовая ул.) სერ. გერსამიას.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნონა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. თფილისში სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. ბაქოში აქიმ ივანე ელიაშვილთან თელავში ივანე პაატაშვილთან სიღნაღში კახეთის ხმის რედაქციაში ჭიათურაში პლატონ ლექავასთან ყვირილაში კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში აბასთუმანი ნიკ. აბესაძესთან წალვერში ალ. ცირეკიძესთან ხორაგაულში ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან მარელისში მასწ. მ. დეკანოსიძესთან მოლითში მასწ. ს. ლამბაშიძესთან სამტრედიაში ის. სტურუასთან აბაშაში ალექსანდრე ესაკიასთან ახალ—სენაკში ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან ფოთში მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან ლანჩხუთში შოთა ვადაჭკორიასთან, ოზურგეთში გიორგი მუმლაძესთან ჩოხატაურში გრ. თავდგირიძესთან აცანაში შუხუთში ჩიბათში და ლესაში ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან ბათომში ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში ოჩამჩირეში თეოფილე ხუსკივაძესთან ნოსირში მომხმარებელ საზოგადოებაში ხობში პროვიზორ ოგანეზოვთან წინამძღვრიან კარში ნესტორ ძიძიგურთან ონში ილია გოგიასთან ალპანაში სამსონ ფრუიძესთან ზუგდიდში იოსებ გოგიასთან ხონში კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან სოხუმში პლატონ გელოვანთან ბანძაში ესტატე მონივასთან განჯაში ტრიფონ თაბუკაშვილთან ნაოღალევში აქსენტი ფარულავასთან ნახუნავოში ბეგლარ ფაღავასთან მალლაკში ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან ამაღლებაში მარიამ ჩიჯავაძესთან ბაღდათში გ. ახვლედიანთან მათხოჯში ლავ. ძიძიგურთან კავკავში იასონ ლორთქიფანიძესთან სადმელში, ჭრებალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში და სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. გურიასა, რაჭასა და სააგარაკო ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა კურსების მადნეული წყლის აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმარიოი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით გ. მ. არჯავანიძე.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები

ყველაზე იაფად.




შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

ყველაზე იაფად

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

მიიღება ხელის მოწერა
ყოველკვირეულ სალიტერატურო, საპოლიტიკო და ეკონომიურ გაზეთზე

შრომა

გაზეთი გამოდის 3 მარტიდან 1914 წ.

რედაქცია გადავიდა ძველი ბინიდან გიმნაზიის ქუჩაზე ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის“ გვერდით—კირაკოზოვის შენობაში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გაზეთის ფასი | ერთი წლით | — | — | 2 მან. — კაპ. |
| | ნახევარი წლით | — | — | 1 მან. 20 „ |
| | ერთი თვით | — | — | 20 „ |
| | ცალკე ნუმერი | — | — | 5 „ |

განცხადების ფასი I გვერდზე პეტიტით პწკარი 15 კ. უკანასკნელზე 10 კ. ფული და წერილები მიიღება შემდეგი მისამართით: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „ШРОМА“.

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | |
|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| შორაპანს: | სააგარაკო საღამოს | 5 საათ. 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| შორაპნიდან: | სააგარაკო დილ. | 9 საათ. 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. 38 წ. |

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.